

სტამბოლის მინისტრთა საბჭოს არქივი

ნოდარ ჰენგელია

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

1997-1999 წლებში მქონდა ბედნიერება, სამეცნიერო მივლინებით ვყოფილიყავი თურქეთში. უნივერსიტეტის მაშინდელმა რექტორმა, აკად. როინ მეტრეველმა ხელი შემინყო ასე ხანგრძლივად ვყოფილიყავი მივლინებული თურქეთში. ღრმად ვიყავი დარწმუნებული, რომ თურქეთის მრავალრიცხოვან არქივებსა და წიგნსაცავებში მოსალოდნელი იყო საქართველოს ისტორიის საინტერესო ოსმალური წყაროებისა და სპეციალური ლიტერატურის მოძიება. ამ მხრივ ჩემმა იმედმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. მე მხოლოდ ანკარისა და სტამბოლის არქივსაცავებსა და წიგნსაცავებში მოვახერხე შეღწევა და მუშაობა. გეგმაში მქონდა კიდევ მემუშავა კონიისა და ყარსის არქივებსა და ბიბლიოთეკებში, მაგრამ ეს მაშინ ვერ მოხერხდა.

მუშაობა დავინყე ანკარის არქივებსა და ბიბლიოთეკებში. ანკარაში განმაცვიფრა ანკარის თაფუსა და კადასტრის არქივმა. ეს არქივი გახლავთ ერთ-ერთი უძველესი, სადაც ინახება საარქივო მასალები თითქმის ყველა რეგიონის შესახებ. კერძოდ, მოკლე და ვრცელი დავთრები. ჩემთვის ძალიან საინტერესო იყო ის დავთრები, რომლებიც საქართველოს ეხება. აღმოჩნდა ოცამდე საქართველოს აღწერის ვრცელი და მოკლე დავთარი. ესენია: სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს თითქმის ყველა კუთხის შესახებ არსებული დავთარი. აქვე ინახება „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“, რომლის ერთი წიგნი დაცულია საქართველოს ეროვნული ცენტრის ხელნაწერთა განყოფილებაში (ამ დავთრის ქართული თარგმანი 1941

ნელს გამოაქვეყნა აკად. ს. ჯიქიამ, შემდეგი ტომები – 1945 და 1958 წწ-ში თურქული ტრანსკრიბირებული ტექსტით შენიშვნებითა და გამოკვლევით). სტამბოლის არქივში ინახება ტაო-კლარჯეთის, თორთუმის, ისპირის დავთრები, ზემო და ქვემო აჭარის აღწერის ვრცელი დავთრები, ახალციხის აღწერის მოკლე დავთრები. აქვეა წარმოდგენილი დავთრები ოსმალთა მიერ დაპყრობილი ტერიტორიების თითქმის ყველა რეგიონის შესახებ. სულ 20-მდე დავთარია დაცული ამ არქივში საქართველოს შესახებ. აქვეა დავთრები ჭანეთის ისტორიის შესახებაც: წარმოდგენილია აგრეთვე ტრაპიზონის ვილაიეთის აღწერის დავთრები. ჩვენ მოვახერხეთ მხოლოდ ამ დავთრების მოკლე აღწერა. მისი ფოტოპირების გადაღება სასტიკად აკრძალული იყო.

გარდა აღნიშნული არქივისა, ვიმუშავე ანკარის სხვა არქივსაცავებსა და წიგნსაცავებშიც. კერძოდ, ძალიან ინტენსიურად ვიმუშავე თურქეთის საისტორიო საზოგადოების ბიბლიოთეკაში, სადაც მუშაობაში ხელს მიწყობდა ამ საზოგადოების პრეზიდენტი პროფ. იუსუფ ჰალაჩოღლუ. ვიმუშავე აგრეთვე ანკარის საჯარო ბიბლიოთეკაში, სადაც ჩვენთვის საინტერესო არაერთ წყაროს მივაგენით; განსაკუთრებით ნაყოფიერი აღმოჩნდა მუშაობა ვაკუფების სამმართველოს არქივში, სადაც ძალიან საინტერესო წყაროებია შენახული საქართველოს შესახებ. ამ არქივში აღმოჩენილი მასალები მნიშვნელოვნად ამდიდრებს ჩვენს წყაროთმცოდნეობით ბაზას სავაკუფო დოკუმენტებით (შენგელია 1999: 159-171).

ანკარის სიძველეთსაცავებში მუშაობის შემდეგ საქმიანობა განვაგრძე სტამბოლის ბიბლიოთეკებსა და არქივებში, სადაც, როგორც მოსალოდნელი იყო, უამრავი მასალა აღმოჩნდა. სტამბოლში სამუშაოდ მრჩებოდა მთელი წელიწადნახევარი, ეს დრო საკმაოდ ინტენსიურად გამოვიყენე.

სტამბოლში ჩემი საქმიანობა საკმაოდ ნაყოფიერად წარიმართა. არქივის სამკითხველო დარბაზის გამგემ ილჰამ ბეიმ დიდი სამსახური გამიწია აქ მუშაობისათვის. აღმოჩნდა, რომ აღნიშნულ არქივში

ყველაზე მეტი ოსმალური დოკუმენტური წყარო ინახებოდა. აღნიშნულ არქივს გააჩნია ექვსი საცავი, რომლებიც დღემდე ინახება საკმაოდ საიმედო ადგილას. თითოეულ საცავში დაცულია რამდენიმე მილიარდი დოკუმენტი. მხოლოდ პირველ საცავში, რომლის აღწერა არცთუ დიდი ხნის წინ დაიწყეს, კატალოგიზებულია რამდენიმე ათეული მილიონი დოკუმენტი. კიდევ დიდხანს იქნება საჭირო მუშაობა ამ პირველ საცავზე. დანარჩენი ხუთი საცავის დამუშავებისთვის კი ათეული წლები იქნება საჭირო. ჯერჯერობით მიდის ინტენსიური მუშაობა მხოლოდ პირველ საცავზე. ამ არქივში მუშაობს 300 ოსმანისტი, რომლებმაც შესანიშნავად იციან ძველი ოსმალური ენა. ასევე კარგად ერკვევიან არაბულ და სპარსულ პალეოგრაფიასა და დიპლომატიკაში, იციან არაბული და სპარსული ენები. ასე რომ, ძალიან კარგად არიან განსწავლულნი ამ მიმართულებით. ყოველ ნაბიჯზე ვანყდებოდი ცნობებს საქართველოსა და კავკასიის შესახებ. საბოლოოდ დავადგინე, რომ საქართველოს შესახებ ცნობები უზვად იყო წარმოდგენილი ამ არქივში. საჭირო იყო ორგანიზებული და სისტემატური მუშაობა.

სამკითხველო დარბაზში ყოველგვარი პირობებია შექმნილი მუშაობისათვის. აქვეა ქსეროქსზე გადასაღები აპარატურაც, რომელსაც შეუძლია მოგემსახუროს, გადაგიღოს ნებისმიერი დოკუმენტი. აქ ყველაფერი კომპიუტერზეა აგებული. თითოეულ მკითხველს შეუძლია დამოუკიდებლად ისარგებლოს კომპიუტერით.

პირველ ხანებში გამიჭირდა საქმიანობა, მაგრამ ძალიან მალე ავითვისე იქაური პირობები. არის მომსახურების ძალიან ფართო ქსელი. ამ არქივში მუშაობს მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის მკვლევარი. აქ ნახავთ ინგლისელ, ფრანგ, ამერიკელ, იაპონელ, ჩინელ და სხვა ქვეყნებიდან ჩამოსულ მეცნიერებს. ისინი მთელი წლით ჩამოდიან აქ სამუშაოდ. ამ დარბაზში პრობლემები არ არსებობს. წყაროებთან დაკავშირებით ყველაფერი მარტივად წყდება.

აქ აღმოჩნდა რამდენიმე ათასი ოსმალური დოკუმენტი საქართველოს ცალკეული კუთხეების შესახებ. ცალ-ცალკეა მასალები

წარმოდგენილი სამხრეთ საქართველოს, იმერეთის, გურიის, აჭარის, სამეგრელოს შესახებ. აქ უხვადაა წყაროები აღმოსავლეთ საქართველოს, კახეთის და საერთოდ მთელი სამხრეთ კავკასიის შესახებ. ჩემთვის ძალიან ძნელია ყველა იმ წყაროზე მსჯელობა, რომელიც მოვიძიე და ჩამოვიტანე საქართველოში.

ჩემი უპირველესი ამოცანა იყო ოსმალური ვრცელი დავთრების აღრიცხვა და მათი ქსეროქსზე გადაღება. ასევე ჩემი ამოცანა იყო იჯმალ /მოკლე/ დავთრების აღრიცხვა და მათი ქსეროქსზე გადაღება. შევეცადე ყველა ტიპის დავთარი გადამეღო. გარდა ამისა, ინტენსიურად ვცდილობდი გადამეღო ყველა ის დოკუმენტი, რომელიც საქართველოს ცალკეულ სამეფო-სამთავროებს ეხებოდა. ასეთი მასალები საკმაოდ ბევრი მოვიძიე, გავაკეთე ასლები და ჩამოვიტანე საქართველოში. საკმარისია ითქვას, რომ გადავიღე ისეთი დავთრები, როგორცაა თბილისის, მამირვანის, ახალციხის, ბათუმის, აჭარის, თორთუმის, დიდი და მცირე არტაანის და მთელი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს შესახებ არსებული დავთრები, რომლებიც საქართველოს ისტორიის თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია. არსებული სამუშაოების შესახებ ჩავატარე მნიშვნელოვანი ღონისძიება. წარმოვადგინე ანგარიში სტამბოლში ჩატარებული მუშაობის თაობაზე (შენგელია 2000: 351-372).

სრულიად უცნობი და დღემდე გაუთვალისწინებელი წყაროები მოგვეპოვება ოსმალური ფირმანებისა და ბერათების სახით. ასევე სრულიად უცნობია ჩვენთვის ისეთი დოკუმენტები, როგორცაა „მუჰიმე დავთრები“ (მნიშვნელოვანი დავთრები). ხსენებული დავთრები საერთოდ უცნობი იყო როგორც ქართულ, ასევე თანამედროვე თურქულ ისტორიოგრაფიაში. „მუჰიმე დავთრებს“ თანამედროვე თურქულ ისტორიოგრაფიაში პირველად ყურადღება მიაქცია თანამედროვე თურქმა ისტორიკოსმა ჰაფრედინ კირზიოლლუმ თავის ნაშრომში კავკასიის ხალხებთან ოსმალეთის ურთიერთობასთან დაკავშირებით (კირზიოლლუ 1998). იგი ხშირად დადიოდა თურქეთის საისტორიო საზოგადოების ბიბლიოთეკაში, სადაც ვხვდებოდი მას,

ასევე ამ წყაროებს იყენებდა მეორე თურქი ისტორიკოსი დუნდარ აიდინი თავის ნაშრომში არზრუმის ბეგლარბეგების ისტორიასთან დაკავშირებით (Beylerbeyiligi ve Teşkilati. Kuruluş ve Genişleme Devri (1535-1566), Ankara, 1998). ჩვენთვის ძალიან საინტერესოა „მუჰიმე დავთრები“ საქართველოს ისტორიის თვალსაზრისით. საქართველოს ისტორიის შესახებ ცნობები უხვადაა გაბნეული აღნიშნულ დოკუმენტებში. დავთარი დგებოდა საუკუნეების მანძილზე. დაახლოებით 1555 წლიდან მეთვრამეტე საუკუნის მიწურულამდე. გამოსულია 265 ტომი, ამას ერთვის 17 წიგნი დამატების სახით.

მათში ყველგანაა გაბნეული მეტად ორიგინალური და სანდო ცნობები საქართველოს ცალკეული სამეფო-სამთავროების შესახებ, რაც სრულიად უცნობი იყო ქართულ ისტორიოგრაფიაში. იგი რამდენიმე ათასი დოკუმენტია. წყაროში აღწერილია ოსმალეთის იმპერიის ყოველდღიური ცხოვრება მეთექვსმეტე საუკუნის 50-იანი წლებიდან მეთვრამეტე საუკუნის მიწურულამდე. ჩვენთვის ეს ცნობები მეტად ძვირფასია საქართველოს ისტორიის თვალსაზრისითაც. განსაკუთრებით საინტერესოა ამ წყაროების მონაცემები იმ მკვლევართათვის, ვინც სწავლობს ქართლის ცხოვრებას გვიანფოდალურ საქართველოში. ვინც ამ „მუჰიმე დავთრების“ მონაცემებს შეუჯერებს ქართლის ცხოვრების სათანადო ადგილებს, ადვილად დარწმუნდება, რომ „მუჰიმე დავთრებში“ მოცემული ცნობები მეტად სანდოა. უნდა აღინიშნოს რომ „მუჰიმე დავთრის“ ყველა ცნობას თან ახლავს ზუსტი თარიღი, რომლითაც ადვილად შეიძლება თარიღის დაზუსტება და ფაქტის კონსტატაცია. ასე რომ, აღნიშნული „მუჰიმე დავთრები“ მეტად საინტერესო წყაროა საქართველოს ისტორიის თვალსაზრისით.

მეტად მძიმე და შრომატევადი სამუშაო იყო შესასრულებელი ამ მხრივ. მე ამ დავთრებზე ვიმუშავე თითქმის წელიწადნახევარი. მოვახერხე მათი ქსეროასლების გადაღება. იგი რამდენიმე ათასი გვერდია. მასალები მეტად საინტერესო და ორიგინალურია. ასე რომ,

ვინც მომავალში გადაწყვეტს თურქეთის არქივებში ამ საქმეზე მუშაობის დანყებას, მათთვის თითქმის ნახევარი საქმე გაკეთებულია.

თანამედროვე თურქი ისტორიკოსებისათვის საეცებით ნათელია ამ დავთრებში მოცემული ცნობების ღირებულება. ბოლო ხანებში მათ გადაწყვიტეს ცალ-ცალკე შეესწავლათ თითოეული ტომის მონაცემები და დაეწყოთ ცალკეული ტომის პუბლიკაცია. არქივის თანამშრომლებმა მოახერხეს მხოლოდ რამდენიმე ტომის გამოქვეყნება. კერძოდ, მათ შეძლეს ზოგიერთი ტომის დედნის, მისი არაბული ტრანსკრიფციის და აგრეთვე მისი ლათინური თარგმანის გამოქვეყნება. დღეისათვის გამოქვეყნებულია მესამე, მეხუთე, მეშვიდე, მეთორმეტე, ოთხმოცდამეორე და კიდევ რამდენიმე ტომი. ამ გამოქვეყნებულ ტომებში უხვადაა ცნობები გაბნეული საქართველოსა და კავკასიის შესახებ (T.C. Başbakanlık Devlet Arşivleri Genel Müdürlüğü. Osmanlı Aşşivi Daire Başkanlığı. Yayın No. 21; Divan-I Hümayün Sicili Dizisi, II. 5 Numaralı Mühimme Defteri (973 / 1565-1566). "Özet ve İndeks", Ankara - 1994).

ამ მხრივ, თურქებმა ძალიან დიდ საქმეს დაუდეს სათავე. არცთუ ისე ახლო მომავალში ამ 300-მდე ტომის გამოქვეყნება იქნება ძალიან დიდი სამსახური მთელი ოსმალეთის იმპერიის ცალკეული რეგიონების ისტორიისათვის. აღნიშნული დავთრები მართლაც უნიკალური და უტყუარი ცნობების შემცველია. ვურჩევ ქართველი თურქოლოგების მომავალ თაობას, დაინტერესდნენ ოსმალური წყაროების შესწავლით. მე ამ „მუჰიმე დავთრებიდან“ ამოვკრიბე რამდენიმე დოკუმენტი, რომლის ქართული თარგმანი, არაბული ტრანსკრიფციითა და შესაბამისი შენიშვნებით გამოვაქვეყნე (შენგელია 2008ა: 317-325; შენგელია 2008ბ: 287-301).

ასევე არანაკლებ შრომატევადი იყო ჩემთვის მუშაობა ოსმალურ ფირმანებსა და ბერათებზე: ეს ფირმანები და ბერათები წარმოდგენილია ცალკე კატალოგებში. არსებობს ფირმანებისა და ბერათების ცალკე ფონდი, იგი რამდენიმე მილიონს შეადგენს. დავიწყე ამ ფირმანებსა და ბერათებზე მუშაობა. ამ სერიის კატალოგები გან-

ლაგებულია ცალკე ფონდში, რომლის დათვალიერება დავინყე მე-თექვსმეტე საუკუნიდან მეცხრამეტე საუკუნის მიწურულამდე. სა-მუშაო მეტად შრომატევადი აღმოჩნდა. არქივის ხელმძღვანელობა დღეში მხოლოდ ერთი ყუთის გასინჯვის უფლებას იძლეოდა. მე კი, დიდი ხვენწა-მუდარის შემდეგ, დამრთეს ნება დღეში ორი ყუთი ფირმანებისა გამესინჯა. თითოეულ ყუთში მოთავსებული იყო 130-150-მდე ფირმანი. ყოველი დოკუმენტის დამუშავება მოითხოვდა დიდ შრომასა და ენერგიას. თითოეული დოკუმენტის აღწერა რომ ჩაატარო, საჭიროა მთელი ფირმანი გაშალო, იგი თითქმის მეტრი, მეტრნახევარია.

მას აქვს მინაწერები, იგი არ უნდა დაგვრჩეს შეუმჩნეველი. ამას-თანავე, თითოეულ ფირმანს ან ბერათს ნაწერზე მოყრილი აქვს საშ-რობის სანაცვლოდ გარკვეული სახის ფხვნილი, რომელიც მიწებე-ბულია ფირმანზე. ფირმანი რომ ნაიკითხო, უნდა გათავისუფლდეს ამ მოყრილი ფხვნილისაგან, თითოეული ფირმანის გასუფთავებას გარკვეული დრო სჭირდება, შემდეგ ხდება მისი მომზადება ქსე-როასლისთვის. თითოეულ ფირმანს სჭირდება ოთხი ან ხუთი დიდი მოცულობის ქალაღი. თითოეული ფირმანის გადაღების შემდეგ ხდება ამ ფირმანის ან ბერათის ერთმანეთთან მიწებება და მთელი ფირმანის ტექსტის აღდგენა. ამ მხრივ ფირმანებზე მუშაობამ ძა-ლიან ბევრი დრო ნაიღო. დამჭირდა რამდენიმე ასეული ყუთის დათ-ვალიერება. დამიგროვდა ორასზე მეტი ფირმანი და ბერათი საქართ-ველოს ცალკეული კუთხეების შესახებ. საინტერესო იყო ფირმანები და დავთრები ტაო-კლარჯეთისა და მთელი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს შესახებ, რამაც გადამაწყვეტინა ამ დოკუმენტებზე დამეწყო მუშაობა, მეთარგმნა ეს მასალები და შემომეტანა ქართულ სამეცნიერო მიმოქცევაში.

სტამბოლის მინისტრთა საბჭოს არქივის გარდა ქალაქში არ-სებობს კიდევ რამდენიმე არქივი, სადაც არანაკლებ საინტერესო წყაროები ინახება საქართველოს შესახებ. ეს არქივია, უპირველეს ყოვლისა, თოფ-კაფის სასახლის არქივი (სულთანთა სამეუფეო რე-

ზიდენცია). ამ არქივში ინახება ჩვენი ქვეყნის შესახებ ფირმანები, ბერათები, წერილები და სხვა ხასიათის მასალა, რომლებიც მეტად ღირებულია საქართველოსთვის. ამ არქივში დაცული მასალები ასევე პირველხარისხოვანია მეცნიერებისათვის, მაგრამ არქივს არ გააჩნია არავითარი პირობები მუშაობისათვის. აქვს მეტად პატარა დარბაზი, სადაც შეიძლება მხოლოდ რამდენიმე კაცმა იმუშაოს. კატალოგებით მუშაობაც საკმაოდ რთულია, მხოლოდ არქივის დირექციის მეთვალყურეობით შეიძლება მუშაობა კატალოგებზე. ბიბლიოთეკა კვირაში მხოლოდ რამდენიმე დღე მუშაობს. ამ არქივშიც მოვახერხე მუშაობა და შევძელი რამდენიმე ასეული დოკუმენტის ფირზე გადაღება და საქართველოში ჩამოტანა.

ამავე არქივში არის აგრეთვე ძალიან საინტერესო ბიბლიოთეკა, სადაც ინახება არაერთი უნიკალური გამოცემა. კერძოდ, ძველი გამოცემები ოსმალთა მიერ დაპყრობილი ტერიტორიების შესახებ. თოფ-კაფის სასახლის არქივსა და ბიბლიოთეკაში მუშაობა მეტად საშურიანია საქართველოსა და კავკასიის ისტორიის საკითხებით დაინტერესებულ პირთათვის. ჩემდა საბედნიეროდ, შევძელი რამდენიმე უნიკალური წყაროსა და სპეციალური ლიტერატურის მოძიება და მათი მიკროფირების დამზადება. თოფ-კაფის სასახლის არქივისა და ბიბლიოთეკის მასალებისათვის ჯერჯერობით ხელი არ მიხლია. იგი ხელუხლებელი დევს ჩემს არქივში, ასე რომ, თოფ-კაფის სასახლის არქივის ფონდი ჯერჯერობით დაუმუშავებელია. იგი დიდ შრომასა და ენერგიას საჭიროებს. საამისოდ ჯერჯერობით ფიზიკურად ვერ ვიცილი.

თოფ-კაფის სასახლის გარდა არანაკლებ საინტერესოა სტამბოლის უნივერსიტეტის მეტად მდიდარი არქივი. არქივში, შეიძლება ითქვას, ინახება ერთ-ერთი უმდიდრესი ფონდი მთელს თურქეთში. აქ ინახება ცნობილ ოსმალთა ისტორიკოსთა შრომების ხელნაწერები, რომლებშიც ფართოდაა წარმოდგენილი ძალიან საინტერესო ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. ამ არქივში წარმოდგენილია ისეთი ოსმალთა ისტორიკოსები, რომელთა თხზულებ-

ბებში საუბარია საქართველოსა და მეზობელი ქვეყნების ისტორიის საკითხებზე. ამ არქივიდანაც მოვახერხე წყაროებიდან ამომეკრიფა საყურადღებო ცნობები ჩვენთვის საინტერესო საკითხებზე. მაგრამ ამ მასალებზეც მუშაობას ჯერჯერობით ვერ ვახერხებ.

ძალიან საინტერესო წყაროები ინახება სტამბოლის სულეიმანიისა და ნურ ოსმანიის არქივებში. ამ არქივებშიც მომიხდა მუშაობა, სადაც მივაკვლიე არაერთ საინტერესო წყაროს თბილისისა და სხვა რეგიონების შესახებ. მათი შესწავლა-გაანალიზების შედეგად შესაძლებელი გახდება ბევრი საინტერესო საკითხის წარმოჩენა.

ამრიგად, სტამბოლის მინისტრთა საბჭოს არქივი ჯერჯერობით ერთადერთი არქივ-საცავია, სადაც თავისუფლად შეიძლება ინტენსიური მუშაობა ყველა იმ წყაროზე, რომლებიც ინახება ხსენებულ არქივში. ქართველი ოსმანიისტების გადაუდებელი ამოცანაა, რაც შეიძლება კარგად მომზადდეს სპეციალისტები, რომლებიც თავისუფლად შეძლებენ ოსმალური დოკუმენტური წყაროების მოძიებას და მათ მზის სინათლეზე გამომზეურებას.

ლიტერატურა

1. კირზიოღლუ 1998: Kirzioğlu F., *Osmanlılar in Kafka-Elleri'ni Fethi (1451-1590)*, Ankara, 1998.
2. შენგელია 1999: შენგელია ნ., საქართველოს ისტორიის ოსმალური წყაროები თურქეთის არქივებში (თურქეთში სამეცნიერო მივლინების ანგარიშიდან), წერილი 1, ქართული დიპლომატია, წელიწადი, VI, თბ., 1999.
3. შენგელია 2000: შენგელია ნ., საქართველოს ისტორიის ოსმალური წყაროები თურქეთის არქივებში (თურქეთში სამეცნიერო მივლინების ანგარიშიდან), წერილი 11, ქართული დიპლომატია, წელიწადი, VII, თბ., 2000.
4. შენგელია 2008ა: შენგელია ნ., ოთხი დოკუმენტი „მუჰიმე დავთრიდან“, ჩილდირის ვილაიეთის შესახებ, კრებ. „ნოდარ შენგელია – 75“, თბ., 2008.
5. შენგელია 2008ბ: შენგელია ნ., ოთხი დოკუმენტი „მუჰიმე დავთრიდან“ თბილისის შესახებ, კრებ. „დავით კობიძე – 100“, თბ., 2008.
6. *Beylerbeyliği ve Teşkilati. Kuruluş ve Genişleme Devri (1535-1566)*, Ankara, 1996.
7. T. C. Başbakanlık Devlet Arşivleri Genel Müdürlüğü. Osmanlı Arşivi Daire Başkanlığı. Yayın No. 21;
8. *Divan-ı Hümayun Sicili Dizisi, II. 5. Numaralı Mühimme Defteri (973 / 1565-1566). "Özet ve İndeks"*, Ankara, 1994.

THE ARCHIVE OF THE COUNCIL OF MINISTERS OF ISTANBUL

Nodar Shengelia

SUMMARY

The Archive of the Istanbul Council of Ministers is one of the largest and richest throughout the countries of the East. The Archive has six depositories. So far only one third of one depository is open. The remaining five depositories are intact. Work is under way only with the first fonds, which will take several more decades. All conditions are created for work in the Archive. The staff of the Archive number over 300 employees, who have perfect knowledge of Turkish and render considerable help to the visitors. Vast research work is under way, for which the conditions are ideal, everything is based on a computer system. It is a unique depository of sources of Georgian history many of which I have traced. "The Grand Defter of Tbilisi Vilayet" is preserved here, as well as numerous unique sources for the history of Tao-Klarjeti. Here also are up to 300 volumes of the so-called Muhime Defters; each volume containing up to 1500 various sources. Almost all the volumes contain dozens of original evidence on various periods of Georgian history.